ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3725356

ნომერი: AR1560573

თარიღი : 27.11.2017

გაცემის თარიღი : 08.12.2017

გაცნობის თარიღი : 10.12.2017

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მეტროსადგურ "ვარკეთილი"-ს , მიმდებარედ , (ნაკვეთი N004/020) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ირაკლი მაზიაშვილი პ/ნ 01024037393
- თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ. N 15 ბ. 16

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  რეკონსტრუქცია
- შენობა-ნაგებობის ფასადისა და სახურავის სარემონტო და მოპირკეთებითი სამუშაოები, როცა ხდება ფერის ან მასალის ცვლილება
  რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ:

ვინაიდან სარეკონსტრუქციო ობიექტი მდებარეობს ქალაქის გეგმარებით კარკასზე, სადაც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა როგორც შენობა-ნაგებობებს და მათზე განთავსებულ კონკრეტული დეტალების ვიზუალურ მხარეს, მათ შორის ქუჩის ექსტერიერსაც, რომლის ფარგლებშიც განთავსებული ნებისმიერი ობიექტის არქიტექტურული გადაწყვეტა, ესთეტიკური თვალსაზრისით უნდა ხასიათდებოდეს მაღალი მხატვრული მონაცემებით.
სამსახურს წარმოდგენილი სახით ფასადის მოპირკეთებითი სამუშაოების განხორციელება შესაძლებლად არ მიაჩნია, შესაძლებელია მხოლოდ ფასადის მოწესრიგება არსებულ ფერში. შესაბამისად საჭიროა წარმოდგენილ იქნას განახლებული ფოტომონტაჟი, შორი ხედიდან გადაღბული არსებული სიტუაციის ფოტოსურათების საფუძველზე დამუშავებული.
რაც შეეხება ვიტრაჟზე სტიკერების მოწყობას გაითვალისწინეთ, შენობის შიდა მხრიდან (ინტერიერში) სტიკერის მოწყობა არ წარმოადგენს სანებართვო საგანს, შესაბამისად საჭიროა აღნიშნულის მოწყობასთან დაკავშირებით მოთხოვნა ამოღებულ იქნას ფოტომონტაჟიდან, ხოლო თუ აღნიშნული არსებულია მიეთითოს შესაბამისად.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს სრულყოფილ დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი. გაითვალისწინეთ, რომ სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში თქვენი განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.